საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. მ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.02.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 015/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ს.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ს.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2019 წლის 11 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ს.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას 2018 წლის დეკემბერში მიმართა მოქალაქე ი. მ.-მ და სთხოვა ეწარმოებინა მისი შვილის ბ.უ-ს სამოქალაქო საქმე განქორწინებასა და მეუღლეებს შორის ქონებრივ დავასთან დაკავშირებით. ნ. მ. მოცემულ დავაში წარმოადგენს მოპასუხეების ბ.უ-ს და ხ.ხ-ს ინტერესებს, ხოლო მოსარჩელე მხარის მ.ს.-ს ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი მ. ს..

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსარჩელე მხარეს ორჯერ გაუგაზვნა შესაგებელი, თუმცა მან არ ჩაიბარა, რის შემდეგაც 2018 წლის 13 დეკემბერს დაუკავშირდა მოსარჩელის წარმომადგენელს ტელეფონის საშალებით და ჰკითხა ხომ არ ჩაიბარებდა თავად, რაზედაც მან თანხმობა განუცხადა. ნ. მ.-მ მიუტანა სარჩელი მ. ს.-ს.-ს სამსახურში - ქ. ქუთაისის მერიის შენობაში, სადაც მოსარჩელის

წარმომადგენელმა ისაუბრა ზოგადად მორიგების პირობებზე. საჩივრის ავტორმა უთხრა მას, რომ მხარესთან ერთად განიხილავდა ყველა ვარიანტს და პასუხს შეატყობინებდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი სხდომა სამოქალაქო საქმეზე ჩაინიშნა 2018 წლის 14 დეკემბერს, სადაც მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა ქალბატონმა მ. ს.-მ იშუამდგომლა პროცესის გადადებაზე იმ საფუძვლით რომ სხვა პროცესი ჰქონდა ამავე დროს. მოსამართლემ, უთხრა რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი და მომდევნო სხდომისათვის დაეზუსტებინა სარჩელი. მომდევნო პროცესი გაიმართა 2019 წლის 24 იანვარს, სადაც ნ. მ.-ს ჩააბარეს მ.ს-ს დაზუსტებული სარჩელი და პროცესი გადაიდო 19 თებერვლამდე, რათა საჩივრის ავტორს წარმოედგინა შესაგებელი ორივე მოპასუხის სახელით. პროცესის ბოლოს მოსარჩელის მშობლებმა და წარმომადგენელმა ნ. მ.-ს შესთავაზეს მორიგების პირობები, რაც ამ უკანასკნელმა გადასცა თავის კლიენტებს, თუმცა მათ უარი განაცხადეს.

1.5 ნ. მ.-ის განმარტებით, სასამართლოზე მ. ს.-მ განაცხადა, რომ მისი მხარე განქორწინებაზე თანახმა იყო და სასამართლომ დაავალა განქორწინება წარმომადგენლებს პირდაპირ იუსტიციის სახლში ეწარმოებინათ. პროცესზე მ. ს.-მ გამოთქვა მზადყოფნა ამ მიზნით იუსტიციის სახლში მისვლაზე. საჩივრის ავტორმა რამდენჯერმე დაურეკა ქალბატონ მ. ს.-ს იუსტიციის სახლში მისვლაზე, მაგრამ მას არ ეცალა და დღემდე ვერ მოხერხდა განქორწინების წარმოება საჯარო რეესტრში. ამ მიზნით, საჩივრის ავტორმა 2019 წლის 6 თებერვალს დილის საათებში დაურეკა მ. ს.-ს და სთხოვა იუსტიციის სახლში მისვლა, რაზედაც მან განუცხადა რომ შვილს აცილებდა საზღვარგარეთ და თბილისში მიდიოდა. საჩივრის ავტორმა სთხოვა, როგორც კი ჩამოვიდოდა თავად დაკავშირებოდა. საუბრის დროს მ. ს.-მ საჩივრის ავტორს ჰკითხა თუ რა გადაწყვიტეს მისმა მხარეებმა მორიგებასთან დაკავშირებით, რაზედაც ნ. მ.-მ უპასუხა, რომ მხარეებს შორის იყო დაძაბული სიტუაცია და ისინი მორიგებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. ამის შემდეგ, მ. ს. დაინტერესდა, ი. მ. მისი კლიენტი იყო თუ მეგობარი, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ის არის მხოლოდ მისი კლიენტი და აქვს კარგი ურთიერთობა მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე. საჩივრის ავტორის განმარტებით, საუბრიდან დაახლოებით 2 საათში დაურეკა მისმა კლიენტმა - ი. მ.-მ გაბრაზებულმა, რომელმაც უთხრა, რომ ტელეფონზე დაურეკა მ. ს.-მ და ესაუბრა მის ოფისში ნ. მ.-ის მისვლისა და მორიგების მიზნით სასამართლო სხდომების გადადების თაობაზე, ადვოკატმა მ. ს.-მ ასევე უთხრა მას, რომ მისი დარეკვის მიზანი იყო ი. მ.-ის ონფორმირება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ საუბრის შემდეგ მან დაურეკა მ. ს.-ს.-ს და უთხრა, თუ რატომ ესაუბრა მის კლიენტს, რაზეც მ. ს.-მ უპასუხა, რომ მისი კლიენტი ატყუებდა, ვინაიდან მისთვის მსგავსი არაფერი არ უთქვამს.

1.7 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ადვოკატმა მ. ს.-მ მასთან მიმართებით დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი.

2. მოწმე ი. მ.-ის განმარტება:

2019 წლის 6 მარტს, ეთიკის კომისიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა ი. მ., რომლის თქმით საჩივრის ავტორი - ნ. მ. არის მისი შვილის ადვოკატი. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა მ. ს.-მ დაურეკა მას ტელეფონზე და ი. მ.-ს ჰკითხა „რას შვრები აღარ გადაწყვიტეო?“, რაზედაც ი. მ.-მ უპასუხა, რომ მისმა ადვოკატმა გააცნო მორიგების პირობები, რაზეც უარი განაცხადა. მ. ს.-მ ი. მ.-ს

უთხრა, რომ ნ. მ. მასთან იყო მისული და სთხოვა მორიგება. აღნიშნული გაუკვირდა ი. მ.-ს და განუცხადა რომ ეს ფაქტი მისთვის უცნობი იყო, ვინაიდან ნ. მ.-მ გააცნო მორიგების პირობები და ისინი მიუღებელი იყო მისთვის, ამასთან მან არ იცოდა, რომ მისი ადვოკატი კვალვა აპირებდა მორიგების პირობებზე მოლაპარაკებას. მ. ს.-მ საუბრის დროს ასევე განუცხადა, რომ მოსამართლემ ორი სასამართლო პროცესი გადადო მორიგების პირობების დასაზუსტებლად. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ი. მ. გაბრაზდა მისი შვილის ადვოკატზე ნ. მ.-ზე და მის მიუკერძოებლობაში შეეპარა ეჭვი, დაურეკა და გაბრაზებულმა მკაცრად დაელაპარაკა. მოწმის განმარტებით პოზიციები, რომლებიც გაზიარებული აქვს ადვოკატ ნ. მ.-თან შეთანხმებულია მის შვილთანაც.

3. ადვოკატ მ. ს.-ის პოზიცია:

3.1 ადვოკატი მ. ს. 2019 წლის 21 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში აღნიშნავს, რომ კლიენტის თხოვნით სატელეფონო საუბარი ნამდვილად შედგა მისი კლიენტის დედამთილთან - ი. მ.-სთან. ადვოკატის განმარტებით ი. მ. არ არის მოწინააღმდეგე მხარე, ვინაიდან, სარჩელსა და შესაგებელშიც მითითებული არიან ბ.უ. და ხ.ხ. და ნ. მ. წარმოადგენს მათ ინტერესებს.

3.2 ადვოკატი მ. ს. განმარტავს, რომ სასამართლოს რამდენიმე მოსამზადებელი სხდომის განმავლობაში მოსამართლის შეკითხვებზე, შეძლებდნენ თუ არა მხარეები მორიგების მიღწევას, არცერთ მათგანს უარი არ უთქვამს და ბუნებრივია, შეთანხმების პირობები საქმეში მონაწილე მხარეებთან თავადვე უნდა შეეთანხმებინათ. მათ ნ. მ.-ს შესთავაზეს რამდენიმე ვარიანტი მორიგების აქტის შესადგენად, თუმცა გარკვეული პასუხი - თანხმობა ან უარი მას სასამართლოსთვის არ მიუწოდებია.

3.3 ადვოკატ მ. ს. აღნიშნავს, რომ კლიენტის თხოვნით მიმართეს ნათესავს (დედამთილს), რათა ის ჩარეულიყო და დახმარება გაეწია მხარეთა მორიგებაში. ადვოკატი დაუკავშირდა კლიენტის დედამთილს, რომელმაც საუბრისას განუმარტა, რომ მორიგების პირობებს არ იცნობდა და დააფიქსირა პრეტენზია ქალბატონი ნ. მ.-ის მიმართ, რადგან მას მისი კლიენტები მორიგების რაიმე პირობების განხილვაზე საქმის კურსში ჩაყენებული არ ჰყავდა.

3.4 ადვოკატი მ. ს. ადასტურებს, რომ ნ. მ.-მ დროის 3-5 წუთიანი შუალედის შემდეგ დარეკა მის ტელეფონზე, აღელვებულმა და უსაყვედურა ე.წ უკანონო კომუნიკაციის გამო. ადვოკატმა მ. ს.-მ უთხრა, რომ მოწინააღმდეგე მხარეებთან ბ.უ.-სა და ხ.ხ.-სთან არანაირი კომუნიკაცია არ შემდგარა, რაზეც ნ. მ.-მ უპასუხა, რომ „მხარე“ არის მისი მეგობარი ი. მ. და მასთან კომუნიკაციისათვის „პასუხს აზღვევინებს“. ნ. მ. ხსენებული სატელეფონო საუბრისას იყო განრისხებული, ვერ აკონტროლებდა ემოციას ამიტომ ადვოკატი მ. ს. არ აჰყვა კამათში, რაც პირად შეურაცხყოფად მიიჩნია. ადვოკატი მ. ს. აღნიშნავს, რომ ნ. მ. იცავს ბ.უ.-ს და ხ.ხ.-ს და არ წარმოადგენს საქმეში ი. მ.-ს, რაც დასტურდება საჩივრის ტექსტით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1 ადვოკატი მ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

4.2 ადვოკატმა ნ. მ.-მ /სიითი №/ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 11 თებერვალს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2019 წლის 6 თებერვალს. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2.).

5. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ადვოკატ ნ. მ.-ის პრეტენზიით ადვოკატი მ. ს. მისი გვერდის ავლით დაუკავშირდა მისი კლიენტის დედას, შედგა მათ შორის კომუნიკაცია, რომლის დროსაც ადვოკატმა მ. ს.-მ მას მიაწოდა რეალობასთან შეუსაბამო ინფორმაცია და შეიყვანა შეცდომაში.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ს.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> *„ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილი ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“*

6.3 ადვოკატს მოეთხოვება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად, კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში. მაშინ, როდესაც საადვოკატო მომსახურების მიღებისთვის კლიენტი უთანხმდება ადვოკატს, როგორც სამართლის სფეროში მოღვაწე კომპეტენტურ პირს, ადვოკატი ერთგვარ გამტარ როლს ასრულებს კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ ურთიერთობაში მყოფ პირებთან. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ აღნიშნული დათქმით ყურადღება ექცევა, როგორც პროფესიის რეპუტაციასა, ასევე პროცესის სამართლიანად წარმოების საკითხს. ადვოკატი ვალდებულია თავი აარიდოს მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობას მისი ადვოკატის გვერდის ავლით, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის საფრთხე დადგეს, რამაც გარკვეულწილად, კანონით გაუთვალისწინებელ, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მხარე, ვინაიდან ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მხარის გამოუცდელობით და კანონის არასათანადო ცოდნით. ხოლო, საქართველოს აპეკ-ის 10.4 მუხლი უზრუნველყოფს დაიცვას „გამოუცდელი“ მხარე გამოცდილი ადვოკატის ზემოქმედებისაგან. ამ ვალდებულების უგულებელყოფის შემთხვევაში, შესაძლოა წარმოიქნეს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის საფრთხე, რაც ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის ვალდებულებას უზრუნველყოფს.

6.4 აპეკ-ის 10.4 მუხლზე საუბრისას, აუცილებელია დადგინდეს ამ ურთიერთობის ფარგლებში მყოფი პირთა წრე. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სამოქალაქო-სამართლებრივი დავა, სადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს მოსარჩელის მიერ, მოპასუხის მიმართ დაყენებულ მოთხოვნათა ფარგლებში. ადვოკატის მონაწილეობა საქმეში გამოიხატება მისი დაცვის ქვეშ მყოფი საპროცესო მხარის ინტერესების დაცვასა და მისთვის სასურველი შედეგისთვის ბრძოლაში, რა დროსაც შესაძლებელია როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის ადვოკატის მიერ განხორციელდეს გარკვეული მოქმედებები პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეზე გავლენის მოხდენის მიზნით. ეთიკის კოდექსი სწორედ ასეთი შემთხვევებისგან თავის არიდების მიზნით, ადვოკატს ავალდებულებს არ დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით.

6.5 განსახილველ საქმეში ადვოკატ ნ. მ.-ის პრეტენზიით ადვოკატი მ. ს. მისი გვერდის ავლით დაუკავშირდა კლიენტის დედას - ი. მ.-ს. საპროცესო კოლეგია დისციპლინურ საქმეში მონაწილე მხარეთა ახსნა-განმარტებების და მოწმის სახით დაკითხული ი. მ.-ის პოზიციის მიხედვით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო დავაში ი. მ. არ წარმოდგენს მხარეს, ის არის ნ. მ.-ის კლიენტის დედა, რომელიც შესაძლოა მხოლოდ დაინტერესებული პირი იყოს ამ საქმის მიმართ. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მ. ს.-ს.-სა და ი. მ.-ს შორის კომუნიკაციის ფაქტის მიმართ არ ვრცელდება აპეკ-ის 10.4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, რაც ადვოკატ მ. ს.-ის მიერ ეთიკიური ვალდებულებების დარღვევის ფაქტს გამორიცხავს.

6.6 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №15/19 ადვოკატ მ. ს.-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/